



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union For Georgia



სახელმწიფო სარეგისტრაციო
სამსახური

2016

მიგრაციის საკითხებზე
სამთავრობო კომისია

მოკლე ფორმატის
მიგრაციის პროფილი
ფულადი გზავნილები

თბილისი, საქართველო

მადლობის ნიშნად

მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის მომზადებაში მონაწილეობისა და მისი გამოქვეყნებისთვის, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია მადლობას უხდის ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროგრამას „მეტი მეტისთვის“, რომელიც ხორციელდება მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრისა (ICMPD) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ. მუშაობის პროცესში ასევე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, რომელმაც მოგვანოდა პროფილში გამოყენებული მონაცემების დიდი ნაწილი.

© მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის დაკვეთით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ მართული პროექტის - „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ENIGMMA) მიერ დაქირავებული მკვლევარების მიერ. პუბლიკაცია გამოიცა ევროკავშირის ხელშეწყობით. პუბლიკაციის შინაარსი არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც ევროკავშირის, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მოსაზრება.



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union For Georgia

ევროკავშირი შედგება 28 წევრი სახელმწიფოსაგან, რომლებმაც მიზნად დაისახეს თანდათანობით გააერთიანონ თავიანთი ცოდნა, რესურსები და მომავალი. გაფართოების 50 წლიანი ისტორიის მანძილზე, მათ ერთად შექმნეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების სივრცე, სადაც შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და პიროვნული თავისუფლებები. ევროკავშირი მზად არის გაუზიაროს საკუთარი მიღწევები და ღირებულებები მის საზღვრებს მიღმა ქვეყნებსა და ხალხებსა.

ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა ევროკომისია.

შესავალი

2015 წლის დეკემბერში მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ (მსსკ) შეიმუშავა საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილი¹ (MMP). პროფილი მომზადდა მსსკ-ს წევრი სახელმწიფო უწყებებს აქტიური მონაწილეობით და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის - „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ENIGMMA) მხარდაჭერით. მიგრაციის პროფილის მიზანია ხელი შეუწყოს კვლევებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას ქვეყანაში. მასში განხილულია მიგრაციული პროცესების ყველა ძირითადი ასპექტი და მისი გავლენა ქვეყნის დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. მიგრაციის პროფილი წარმოადგენს მიგრაციასთან დაკავშირებული მონაცემების სანდო წყაროს, როგორც ადგილობრივი ინსტიტუციების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მკვლევრებისთვის თავიანთი საქმიანობისათვის.

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების და მართვის გასაუმჯობესებლად, 2016 წლის მაისში მსსკ-მ მოამზადა და გამოაქვეყნა მიგრაციის საშუალო და მოკლე ფორმატის პროფილების შემუშავების გზამკვლევი², რომელიც აღწერს მიგრაციის პროფილზე მუშაობის პროცესს, მონაცემთა წყაროებს, დოკუმენტის სტრუქტურასა და შინაარსს.

მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი (BMP) წარმოადგენს საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის ლოგიკურ გაგრძელებას. თუმცა, მისგან განსხვავებით, ის ფოკუსირებულია მიგრაციული პროცესების მხოლოდ ერთ ასპექტზე და აღწერს მას მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ინფორმაციების საშუალებით. წინამდებარე მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი ეძღვნება ბოლო 6 წლის განმავლობაში (2010-2015 წწ.) საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების დინამიკის ანალიზს და მათ გამოყენებას შინამეურნეობების მიერ. მასში წარმოდგენილია რეკომენდაციები, როგორც ფულადი გზავნილების კვლევების გაუმჯობესების თაობაზე, ასევე ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე ფულადი გზავნილების გავლენის ზრდის შესწავლაზე.

¹ 2015 წლის საქართველოს მიგრაციის პროფილი. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. ნანახია: 2016 წლის 14 ნოემბერს.
http://migration.commission.ge/files/migration_profile_geo_may.pdf

² საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების გზამკვლევი. 2016 წ. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. ნანახია: 2016 წლის 14 ნოემბერს.
http://migration.commission.ge/files/mp_guidelines_12.09.2016_geo.pdf

ფულადი გზავნილების³ სტატისტიკა

სამოგადოებასა და ეკონომიკაზე საერთაშორისო მიგრაციის გავლენაზე მსჯელობისას, მკვლევარები ხშირად სწორედ რომ მიგრანტთა ფულად გზავნილებს განიხილავენ ამ კონტექსტში. ბევრი მიმღები ქვეყნისთვის, ფულადი გზავნილები წარმოადგენს უცხოური ვალუტის შემოდინების საკმაოდ სტაბილურ წყაროს, რომელიც ზოგჯერ უფრო სანდოა, ვიდრე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები⁴. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი პასუხი კითხვაზე, თუ რა მასშტაბის გავლენა აქვს ფულად გზავნილებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, გზავნილების მიმღებ შინამეურნეობათა დონეზე, მათი წვლილი ძალზედ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს განათლებაზე, ჯანდაცვაზე და კაპიტალზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.


ადრეული 1990-იანი წლებიდან, როდესაც საქართველოს მოქალაქეებმა აქტიური საერთაშორისო მიგრაცია დაიწყეს, ფულადი გზავნილების შემოდინების ზრდაც დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა არ არის ფულად გზავნილებზე ზედმეტად დამოკიდებული, გზავნილები მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სიღარიბის შემცირებაში და ოჯახების ეკონომიკურ სტაბილურობაში. ეკონომიკური კრიზისის დროსაც კი მათ აქვთ უნარი, რომ მალევე დაუბრუნდნენ კრიზისამდელ მდგომარეობას, თუმცა 2014-2015 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა რუსეთში, შესაძლოა უფრო ხანგრძლივი გავლენა იქონიოს ფულადი გზავნილების დინამიკაზე.

2014 წელთან შედარებით, 2015 წელს საერთო ფულადი გზავნილების მოცულობა დაახლოებით მეოთხედით შემცირდა (1.440.754.000 აშშ დოლარიდან 1.079.952.000 აშშ დოლარამდე) და თითქმის გაუტოლდა 2010 წლის მონაცემებს (1.052.227.000 აშშ დოლარი)

³ მოცემული მიგრაციის პროფილი განიხილავს მხოლოდ ისეთი ტიპის ფულად გზავნილებს, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემდეგნაირადაა განმარტებული: საქართველოში სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემების მეშვეობით გადმოირიცხული თანხები, რომელიც რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის განხორციელებული ოპერაციების გარდა მოიცავს ასევე ოპერაციებს რეზიდენტებს შორის და ოპერაციებს არარეზიდენტებს შორის, მაგრამ არ მოიცავს ოპერაციებს განხორციელებულ ფიზიკურ პირებს შორის საბანკო ანგარიშების მეშვეობით და ასევე არ მოიცავს ნაღდი ფულით განხორციელებულ ოპერაციებს.

⁴ თ. ზურაბიშვილი და თ. ზურაბიშვილი 2013. ფულადი გზავნილები საქართველოს პროვინციებში: დაბა თიანეთის მაგალითი. მიგრანტთა ზღვრული მიდგომა: ტრანსნაციონალური პერსპექტივა. რედაქტირებულია: Philip Kretsedemas, Jorge Capetillo-Ponce and Glenn Jacobs. Routledge: pp. 148-164.


ილუსტრაცია 1. ფულადი გზავნილები წლების მიხედვით (აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც წესი, საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების რაოდენობა იანვარში ყველაზე დაბალია, დეკემბერში კი ყველაზე მაღალი, რაც შესაძლოა საახალწლო და საშობაო სამზადისით იყოს განპირობებული. მხოლოდ 2014 წლის დეკემბერში იყო ფულადი გზავნილების მოცულობა შედარებით დაბალი, რაც უკვე დაწყებული კლებადი ტენდენციით შეიძლება აიხსნას, რომელიც 2015 წელსაც გაგრძელდა და შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობის მნიშვნელოვნად შემცირებაში აისახა.


ილუსტრაცია 2. ფულადი გზავნილები თვეების და წლების მიხედვით (აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სხვადასხვა ქვეყნებს შორის, ფულადი გზავნილების შემოდინების ყველაზე მნიშვნელოვანი კლება აღინიშნება რუსეთიდან და საბერძნეთიდან. კლების ტენდენცია რუსეთიდან გამოგზავნილ ფულად გზავნილებში დაიწყო 2014 წელს (2014 წელს გამოიგზავნა 709.238.000 აშშ დოლარი, 2013-ში კი, 801.428.400 აშშ დოლარი). თუმცა საბერძნეთის შემთხვევაში 2014 წელს გამოგზავნილი ფულადი გზავნილების მოცულობა (204.781.900 აშშ დოლარი) აღემატებოდა 2013 წელს გამოგზავნილს (197.970.400 აშშ დოლარი), 2015-ში მათი მოცულობა საბერძნეთიდან საგრძნობლად შემცირდა (117,750,700 აშშ დოლარი). ორივე ქვეყნის შემთხვევაში 2015 წელს ფულადი გზავნილები თითქმის 40%-ით შემცირდა 2014 წელთან შედარებით.

ილუსტრაცია 3. ფულადი გზავნილები ქვეყნების და წლების მიხედვით (აშშ დოლარი)



ცხრილი 1. ფულადი გზავნილები ქვეყნების და წლების მიხედვით (აშშ დოლარი)


ქვეყანა	2010	2011	
რუსეთი	555,567,100	655,216,800	
საბერძნეთი	103,800,800	144,643,900	
იტალია	76,724,900	109,187,800	
აშშ	75,303,700	75,348,500	
თურქეთი	33,628,400	27,642,700	
ისრაელი	12,093,600	14,415,300	
ესპანეთი	27,309,600	30,957,000	
გერმანია	14,740,500	12,962,100	
უკრაინა	58,982,500	52,413,700	
დიდი ბრიტანეთი	13,460,300	14,852,100	
აზერბაიჯანი	5,117,400	6,973,800	
ყაზახეთი	9,868,500	26,194,400	
საფრანგეთი	5,018,000	9,660,600	
კანადა	4,247,500	5,499,300	
სომხეთი	6,053,300	4,455,500	
სულ	1,052,227,000	1,268,127,000	

	2012	2013	2014	2015
	747,449,100	801,428,400	709,238,000	432,687,900
	159,617,300	197,970,400	204,781,900	117,750,700
	102,871,900	110,184,200	121,469,600	109,077,700
	74,038,500	74,855,400	82,062,900	100,037,100
	29,979,700	41,736,100	64,336,900	68,945,500
	15,968,100	19,732,900	23,626,700	32,878,700
	27,813,700	25,372,500	28,048,500	26,771,900
	13,215,000	17,800,800	24,217,700	26,661,900
	47,420,900	45,573,200	30,800,600	20,850,200
	19,715,100	18,635,600	15,059,700	15,964,800
	10,351,800	14,964,200	17,789,800	15,507,000
	12,622,100	16,076,500	17,581,100	14,656,300
	9,823,800	11,587,500	11,638,000	10,856,200
	5,731,600	6,650,500	6,906,300	7,204,000
	5,571,600	7,285,300	7,813,600	6,487,800
	1,334,174,000	1,477,020,000	1,440,754,000	1,079,952,000

იმ ქვეყნებიდან, რომლებსაც ნაკლებად შეეხოთ ეკონომიკური კრიზისი, ან რომლებმაც უკვე დაძლიეს კრიზისი, 2015 წელს პირიქით გაიზარდა კიდევ ფულადი გზავნილების მოცულობა - მაგალითად, აშშ, თურქეთი და ისრაელი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ყველაზე დიდი მოცულობის ფულადი გზავნილები კვლავ რუსეთიდან იგზავნება, მისი წილი საქართველოში შემოსულ ფულად გზავნილებში თანდათანობით მცირდება და 2015 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს 40%-ს მიაღწია. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების აბსოლუტური მოცულობა შემცირდა, ძირითადად საბერძნეთიდან გზავნილების შემცირების გამო, 2010-2015 წლებში ოდნავ გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებიდან (28 ქვეყანა) შემოსული ფულადი გზავნილების წილი.


ილუსტრაცია 4. სხვადასხვა ქვეყნებიდან/რეგიონებიდან შემოსული ფულადი გზავნილების პროცენტული წილი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რუსეთიდან შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობის კლება კი თვალსაჩინოა, როგორც პროცენტულად (წილი საქართველოში შემოსულ ფულად გზავნილებში), ასევე რიცხობრივად (აბსოლუტური ოდენობა).

ილუსტრაცია 5. სხვადასხვა ქვეყნებიდან/რეგიონებიდან შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა (აშშ დოლარი)



ეროვნული ბანკის მონაცემები შესაძლებელს ხდის 2013-2015⁵ წლებში თითოეულ ტრანზაქციაზე გზავნილის საშუალო ოდენობის გამოთვლას. ფულადი გზავნილის საშუალო ოდენობა მცირდება ყველა ძირითადი ქვეყნიდან გამოგზავნილი ფულადი გზავნილების შემთხვევაში, თუმცა ეს შემცირება გაცილებით თვალშისაცემია რუსეთის და უკრაინის შემთხვევაში.

ილუსტრაცია 6. თითოეულ ტრანზაქციაზე ფულადი გზავნილის საშუალო ოდენობა 2013-2015 წლებში ქვეყნების მიხედვით (აშშ დოლარი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

⁵ 2013-2015 წლებისთვის საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს მონაცემები ქვეყნებიდან შემოსული ტრანზაქციების რაოდენობის და ფულადი გზავნილების მთლიანი მოცულობის შესახებ. ეს მონაცემები საშუალებას იძლევა ვიანგარიშოთ გზავნილის საშუალო ოდენობა თითოეული ტრანზაქციისთვის.

ფულადი გზავნილების წილის შემცირება ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში დასტურდება მსოფლიო ბანკის მიერ გაკეთებული ანალიზითაც, რომელიც აჩვენებს, რომ 2015 წელს ფულადმა გზავნილებმა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 10% შეადგინა, რაც ნაკლებია 2013 და 2014 წლებთან შედარებით (12%).

ილუსტრაცია 7. ფულადი გზავნილის წილი მთლიან შიდა პროდუქტში და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა

■ ფულადი გზავნილები (მშპ-ს %) ■ მშპ (მილიარდი აშშ დოლარი)



წყარო: მსოფლიო ბანკი



ფოტო: IOM ფოტო ალბომი

ფულადი გზავნილების გავლენა შინამეურნეობების დონეზე


2016 წელს ACT-საქართველოს მიერ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის (მსსკ) დაკვეთით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევა გვიჩვენებს საქართველოში არსებულ ზოგად სურათს ფულადი გზავნილების გამოყენებასთან დაკავშირებით მიმღები ოჯახების მიერ. გამოკითხული 324 ოჯახიდან, რომლებსაც ყავდათ სულ მცირე ერთი დაბრუნებული ან ამჟამინდელი ემიგრანტი ოჯახის წევრი, უმეტესობა (239) იღებდა ფულად გზავნილებს. მსსკ-ს დაკვეთით ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, იმ 215 ემიგრანტიდან, რომელიც გამოკითხვის მომენტში საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ოჯახს ფულს 71% უგზავნიდა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ყოველი მეორე ემიგრანტის მიერ ოჯახისთვის გამოგზავნილი თანხა ოჯახის ბიუჯეტის ნახევარს ან $\frac{1}{4}$ -ს შეადგენს, ემიგრანტების 15%-ის მიერ გამოგზავნილი თანხა კი მათი ოჯახის შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა.

იგივე კვლევის მონაცემები მიუთითებს, რომ იმ ოჯახების წილი, რომლებსაც საკვებისთვის საკმარისი ფული არ აქვთ თითქმის 20%-ით მეტია იმ ოჯახებზე (55%), რომლებიც არ იღებდნენ ფულად გზავნილებს, ხოლო ფულადი გზავნილების მიმღებ ოჯახების შემთხვევაში, იმ ოჯახების წილი, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი ფული საკვებისთვის 26% შეადგენს. ეს მონაცემები თანხვედრაშია სხვა კვლევების შედეგებთან, რომლის მიხედვითაც ფულადი გზავნილები ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას საქართველოში.⁶

მსსკ-ს დაკვეთით ჩატარებულმა გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობა სხვა ქვეყნების მოსახლეობის მსგავსად მოიხმარს ფულად გზავნილებს. ფულადი გზავნილების მიმღებ სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც ფულადი გზავნილების დიდი ნაწილი იხარჯება პირველადი მოხმარების საგნებზე, როგორიცაა საკვები, კომუნალური გადასახადები და ტანსაცმელი, რასაც მოყვება ჯანმრთელობასთან და განათლებასთან დაკავშირებული ხარჯები. ფულადი გზავნილების მიმღებთაგან, მხოლოდ 7% ახერხებს ფულადი გზავნილებით დანაზოგის გაკეთებას ბინის ან მანქანის შესაძენად ან ბიზნესის დასაწყებად.


⁶ თიანეთის შინამეურნეობების აღწერა 2008 და თიანეთის ემიგრანტები საბერძნეთში 2008 - მარტი-ოქტომბერი, 2009 IOM. ნანახია 2016 წლის 14 ნოემბერს. <http://iom.ge/1/tianeti-household-census-2008-tianeti-emigrants-greece-2008-march-october-2009>

ილუსტრაცია 8. რაში იხარჯება ფულადი გზავნილები?



2008 წელს ჩატარებული კვლევა სახელწოდებით - „განვითარების გზაზე“⁷, აჩვენებს თუ რაში იხარჯება ფულადი გზავნილები, როდესაც ოჯახი მას ხარჯავს სხვა შემოსავლისგან განსხვავებულად. 141 ოჯახიდან, რომელიც იღებდა ფულად გზავნილებს და ხარჯავდა მათ ოჯახის სხვა შემოსავლისგან განსხვავებულად, დიდმა ნაწილმა (40%) აღნიშნა, რომ ფულადი გზავნილები ჯანდაცვას ხმარდებოდა. გამოკითხულთა ერთმა მესამედმა კი საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა, ვალის გადახდა და ბავშვის მოვლა დაასახელა. მონაცემები მიუთითებს, რომ ასევე ხშირად ხდება ფულადი გზავნილების გამოყენება განათლებისთვის და ისეთი განსაკუთრებული შემთხვევებისთვის, როგორიცაა ქორწილი და დაკრძალვა.

ილუსტრაცია 9. ფულადი გზავნილების ხარჯვა მიმღები ოჯახების მიერ მისი სხვა შემოსავლისგან განსხვავებულად ხარჯვის შემთხვევაში



შენიშვნა: ამ კითხვაზე პასუხი გასცა მხოლოდ 141 რესპონდენტმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ფულად გზავნილებს ოჯახის სხვა შემოსავლისგან განსხვავებულად ხარჯვენ

⁷ განვითარების გზაზე: მიგრაციის სოციალური და ეკონომიკური გავლენის გაზომვა და ოპტიმიზაცია საქართველოში. 2009. ნანახია 2016 წლის 14 ნოემბერს.
http://www.ippr.org/files/uploadedFiles/_research_teams_2009/Projects/Global_Change/Georgia%20FINAL%20%28April%202010%29.pdf?noredirect=1

თუ შევაჯერებთ ორივე კვლევის შედეგებს, ვნახავთ, რომ ფულადი გზავნილების ინვესტიცია ადამიანური კაპიტალის განვითარებაში (ჯანდაცვა და განათლება) ყოველდღიური ხარჯების დაფარვის შემდეგ ხდება. გამოკითხულთაგან მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს ფულადი გზავნილების გამოყენებას დანაზოგის გაკეთებისთვის ან ბიზნესის დასაწყებად.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოყვანილი არც ერთი კვლევის შედეგის განზოგადება საქართველოს მასშტაბით ფულადი გზავნილების მიმღებ ოჯახებზე არ შეიძლება, კვლევების მიგნებები გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ იხარჯება ფულადი გზავნილები საქართველოში და რა როლს თამაშობს იგი მიმღები ოჯახების ეკონომიკურ კეთილდღეობაში - ფულადი გზავნილების მიმღებ ოჯახებს უფრო იშვიათად აქვთ ვალები და უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ საქართველოში მცხოვრებ იმ ოჯახებთან შედარებით⁸, ვინც არ იღებს ფულად გზავნილებს.

არსებული კვლევები გვიჩვენებს, რომ უმეტეს შემთხვევაში ფულადი გზავნილები იხარჯება ყოველდღიურ საჭიროებებზე და მათი ინვესტირება სამეცნარმეო საქმიანობაში ნაკლებად ხდება. თუმცა, ნათელია, რომ ფულადი გზავნილები, რომლებიც ჯანდაცვაში ან განათლებაში იხარჯება, შეიძლება ჩაითვალოს ადამიანურ კაპიტალში ჩადებულ ინვესტიციად. ის, რომ ფულადი გზავნილების პოტენციალის გამოყენება სრულად არ ხდება, იმითაც დასტურდება, რომ ფულადი გზავნილების მიმღები ოჯახების ძალიან მცირე ნაწილი ახერხებს დანაზოგის გაკეთებას. შესაბამისად, როგორც მიგრანტების, ასევე მათი ოჯახების წევრების ფინანსურ საკითხებზე და არსებულ საბანკო პროდუქტებზე განათლების ამაღლებამ შესაძლოა გააძლიეროს ფულადი გზავნილების დადებითი გავლენა, როგორც ოჯახების, ასევე ქვეყნის დონეზე.

აუცილებელია მეტი მონაცემების შეგროვება და ანალიზი, იმისათვის რომ უკეთესად გავიგოთ, თუ რა გავლენას ახდენს ფულადი გზავნილები ქვეყნის ეკონომიკაზე და ამასთანავე, გზავნილების პოტენციალი გამოყენებული იყოს ეკონომიკის სწრაფი განვითარების ხელშეწყობისთვის. საჭიროა შემდგომი კვლევები (თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული მეთოდების გამოყენებით) მიმართული იყოს ამჟამინდელი და დაბრუნებული მიგრანტების ოჯახების და ფულადი გზავნილების მიმღები ოჯახების მიერ გზავნილების გამოყენების შესწავლაზე. ასევე მნიშვნელოვანია, ფულადი გზავნილების როლის შესწავლა ამ ოჯახების სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით. ეს კვლევები, ასევე მიმართული უნდა იყოს ფულად გზავნილებსა და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებს (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, განათლება, ჯანდაცვა და ა.შ.) შორის არსებული ურთიერთკავშირებისა და ზეგავლენის შესწავლაზე.

⁸ ტ. გერბერი და კ. ტოროსიანი. 2013. ფულადი გზავნილები საქართველოში: თანაფარდობა, ეკონომიკური გავლენა და სოციალური კაპიტალის ფორმირება. დემოგრაფია; 50(4):1279-301. doi: 10.1007/s13524-013-0195-3. ნანახია: 2016 წლის 14 ნოემბერს. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/23404646>